

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე
მკვლევრებთან თვის ადრესი: Тифлисс, ред. «Дროისა»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ., 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მანათი. რედაქცი-
ისა ითვლება მთავან დატყუარებას. რედაქცი-
ისა ითვლება მთავან დატყუარებას.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს დასახელებად გამოგზავნილ წერილებს
დაუბეჭდვად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
ავტორს.
Объявления из Россіи, Царства Польскаго и за
границы принимаются только въ цент. конторѣ
объявл. Л. Метцль., Москва, Петровска, № 6

ტალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკა.

ბამოღის ყოველ-ღეო ორშაბათს ბარდა.

დღესასწაულების ბამო უამდობი ნომერი ბამოზა თეაბრვლის 5-ს.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

დროებაზე

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — მ. ჭილაძეების
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მასე ნათაძესთან; თელავში — ვანო როს-
ტომაშვილთან; ბორში — ადამო თეთავეთან.

წლით ხელის-მოწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ. თეაბრ-
ვლის პირველიდან წლის დასასრულამდე გაზეთის ფასი 8 მან. და 50 კაპ.

საფედის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით
ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

პართული თეაბრი
დღეს პარასკევს თებერვლის 1-ს.
ქართული დრამატული დასისაგან
რუსეთში გამოჩენილი გუბდუტისტის და
სტენების წამოთხვევის მ. ბ. დიმიტრი-
ვის (სხვა-და-სხვა სტენების და კუბ-
ლეტების ავტორისა) და მალოროსიუ-
ლი ატისტისა მ. ნ. დოროშენკოს
მანაწილეობით წარმოდგენილი იქნება
2 მოქმ. ზოგოლის კომედიად.
I
რ მ ვ ი ზ რ ი
II
სტენა ტრაქტორში დიუმას კომე-
დიადამ
კ ი ნ ი
III
სხვა და-სხვა გვარი დივერტისმენტო:
რუსული, მალოროსიული და მბრათ-
ლის ცხოვრებიდან: კომიკური, სატი-
რიკული და ნაციონალური სტენები
და ლექსები.
დაწვრილებითი პროგრამა აფიშებშია.

პართული თეაბრი
შაბათს, თებერვლის 2-ს.
ბენ ექისი
ბ. პორინთლისა და დ. აწყურელისა
ქართულის დასისაგან წარმოდგე-
ნილი იქნება:
I
ბ ა ი ყ უ ზ ი
მოღ. — ჭარხი 2 მოქ. ავ. საგარლისა.
II
ო ნ ი ბ ა ზ ი
მოღ. 1 მოქმ. გაღმ. ავ. საგარლისაგან.
III
პარნიმამხარისას
მოღ. 1 მოქ. თ. რაფ. მირსთისა.
IV
გ უ ლ ბ ა ი ბ რ ა მ ო
პრდელი 1 მოქმედებად.
V
დ ი მ ა - ბ ი ს კ მ ე ბ ი
სხვათა შორის პ. მოხვევე ითამაშებს
ჩიჩურს ხანჯლებით და დ. აწყურე-
ლი — კინტორსს.

„დროების“ ქველტონი, თებერვ. 1-ს

ხალხური ბადმოცემა
ვახტანგ ბორბასლანზე
და ბეჭეატანის ჩამხობაზე
ადექსანდრე ბატონიშვილზე
(ხამბობი ბოქორის მოაზედ)
„მეგლი რკინისა მჭვრათა იქცევა,
ისტორიკოსნი ამოსწყდებიან;
სიმღერებში კი ძველი დიდება
საშვილი შვილოდ შეინახება...“
ბაირონი.

შობის შემდეგ რამდენიმე დღემ
გაიბრუნა. ძარზედ იდგა მუხლზეთ თოფ-
ლი მთვარის და ურიცხვ ვარსკლავ-
თა შუქით განათლებული და გარაკრავ-
ბული. მეთრ - ნაბად - წამოსხმული
ხეები ღინჯად ჩამწკრივებულიყვნენ...
ბუნქები თეთრად იყვნენ დაბარდულ-
ნი. ბავარვარებულ ბუხრის გვერდით,
გძელ ტახტზედ, ხუთიოდ ახალ-გაზ-
დას, უქმეებში შრომისაგან მოკლილთ,
ქართული სუფრა გვეშალა ამ დრო-
ის შესაფერ ღორის თავით და გვეკონ-
და ქართული ლხინი — ძმურის ბა-
სით... მამალმა სამჯერ იყილა, ღა-
მის მნათობთ შუქი მიკრთა, სიცოცხ-
ეფრო გაკაპადა, როცა ჩვენ ისევე

სუფრაზე ვისდით. ამ დროს ერთმა
ჩვენგანმა მოგვცა წინადადება, რომ
ცხენებით გაგვექუსლა საითმე. შეე-
ლანი დავთანხმდით და რადგან მწე-
რებით საკურდლოდ გასვლა მოგე-
წყინდა, გადავწყვიტეთ მამა-პაპურ სა-
ლოცავ ბოქორის წმინდა ბიორგში
წასვლა... პატარაობაში ყველა ჩვენ-
განი, სასწავლებელში წასვლის წი-
ნად, საყვარელ დედასთან ერთად
ასულა ამ ზეცას აყულებულ ქუ-
დურზე მყოფ მამა-პაპურ ციხე-სა-
ლოცავში და მხურვალე გულით შე-
ვედრება უზუნაესს არსებათ კეთილი
სწავლის მინიჭებას... ცხოვრების კვალ-
ზე შედგომას თითქო წაებუქა ჩვენში
ეს გრძობითი ცერემონია, მაგრამ
მოგონებამ კვალად განაცხოველა იგი.
სოტახანს უკან ნაბად-მოსხმულნი,
ყაბალახ-შებორბლილნი ჩვენ ვისხე-
დით ძუ-გამონასკულ ცხენებზედ და
მივეჩქარებოდით. ცხენებისაგან აყენე-
ბულს თოვლის ბუქში ერთმანეთს
ძლივსა ეხედავდით... შორს მარტო
მათრანის ტყლშა-ტყლუში ისმოდა.
ჩვენი ფეხის ხმას ჰქენებაში არ ას-
დევდა მარტო ჩვენი თანამოგზაური
მოხუცი შიშია, რომელიც ნაბადში
კობტად მოხრილი ძლივს იკავებდა

დროა მკუას ხალი მოკვიდოთ

თბილისი, თებერვლის 1-ს
ბანათლება ხალხს გონებით ავარ-
ჯიშებს, ზნეობით ამაღლებს, ნივთი-
ერად აძლიერებს, თვით ცნობიერებას
უღვიძებს, მუენე ჩვეულებას უსპობს,
ხასიათს უშალაშინებს, სხვა-და-სხვა
ერს ეთმანეთთან ახლოვებს. ეს კი-
დე იმას არ ნიშნავს, რომ განათლე-
ბა ხალხთა შორის ყოველ გვარ გან-
სხვავებას სპობდეს: დიდად სცდებიან
ისინი, ვინც ოცნებობენ, ვითომ ცი-
ვილიზაციის დანიშნულება იყოს,
ჭრანტუზისა და ნემეცის შუა ყოვე-
ლი განსხვავება ამოაგლოს, ინგლისე-
ლი და ჩინელი სრულებით გააერ-
თოს, ეროვნული პირადობა განაქ-
როს. მთნოგრაფიული და გეოგრა-
ფიული პირობები ისეთს დაღს ასმენ
ხალხს, რომლის ამოშლა, ამოხოცვა
ცივილიზაციას არც ძალუქს და არც
ცილიობს. იმისი დანიშნულებაა აღ-
ნიშნულ ადგილზე შექმნას ისეთი პი-
რობები, რომელთა საშუალებით ადა-
მიანს და საზოგადოდ მრთელს ხალხს
შეეძლოს თავის ცხოვრების გაუმჯო-
ბესობა. სივილიზაცია ახლდება,
ქაბუკდება იმ ელემენტებით, რომელ-
თაც ჰკრებს იგი სხვა-და-სხვა ხალხთა
ცხოვრებიდან; ამით იმატებს იგი ძა-
ლას, ხანგრძლივობას, სიცხოველეს.
აქედან სჩანს, რომ განათლება ზნე-
ობით ახლოვებს და აერთებს ხალ-
ხებს, მაგრამ ამასთანავე იგი არა
ჯილაგით თავის წითელ და ფეცკავმა
ცხენს. ეს ჩვენი თანამოგზაური მო-
ხუცი შესანიშნავი გლეხი იყო. მთხ-
მოც წელს მიხწეული, მოკაკულს და
ჩახივით გამხმარს სხეულში მაინც
ატარებდა ცოცხალს და მოძრავ სულს.
მცნობნი ამ მოხუცს იმავე თავითვე
შიშიას ეძახდნენ მაღმალ უღვაშების
გრების, ტანის კიშვის და სიკვირცხლის
გამო. დღესაც წარსული დროის ხსოვ-
ნით იყო მოცული მისი არსება და ამ
უკანასკნელის შედეგიც გახლდათ მისი
კავმა და მშენიერი ცხენიც...
— ჰე, წავიდა დრო... შწინ გუთნი-
დე ღეები მინდერიდან რო შინ ვბრუნ-
დებოდით, ერთმანეთს ახლო ვერ მი-
ვუღებოდით, რომ სიმღერაში ხმა
შეგვეწყო. ან რას მივუღებოდით?
შველა ულაყ ცხენზე იჯდა და ჯერზე
ლიტრა ქერს აქმედდა. მხლა ქერი
მეწვრიბალეს მიაკეს... მეც ძველად-
განვე ვარ ჩვეული, თორემ ამ ქერის
სიძვირეში არც კი ღირს კავშას შე-
ნახვა, — ოცყოლა ხოლმე შიშია და
დაჰკრავდა კისერზე ხელს თავის კავ-
შას.
სიმღერაშიაც გათქმული იყო ჩვენი
შიშია. მართლში იმავე თავით გათქმულია
სიმღერები: „ხეურთა“, „ქონა“, „ჩიან-

ცილიობს მოსპოს განსაკუთრებული
ხასიათები, რომელთაგან შესდგება
ეროვნული პირადობა, ნაციონალუ-
რი ინდივიდუალობა. Единство за-
ключается въ разнообразіи, ამ-
ბობს გამოჩენილი ინგლისელი მწერა-
ლი ძერი. პაცობრობის ზნეობითი
ერთობა ეროვნულ განსხვავებაზე,
ხალხთა ინდივიდუალობაზე დამყარე-
ბული. ბანათლება, ცივილიზაცია
ილწვის დაამკვიდროს პირველი იმითი,
რომ არ მოსპოს მეორენი. აქედამ
წარმოსდგება მისი ძალა, ღონე და
გავლენა. იგი უკარავს პირადობას
შხოლოდ ისეთ ხალხებს, რომელთა
ცხოვრებიდან ვერ გამოჰკრფეს რაიმე
სასარგებლო მასალას, რომელიც
ვერ გამხდარან „კრახ“ და ველურ
მღგომარეობიდან ვერ გამოუღონ.
მაშასადამე იმ ერს, რომელსაც თვი-
სი ისტორია აქვს, სახელმწიფო ჰქო-
ნია, საუკეთესო სარწმუნოება შეუ-
თვისებია, გონებით უცხოვრია, — ერი-
თას სიტყვით, შეუქმნია თავისებური
კულტურა, შეუძლიან დიდი სამსახუ-
რი გაუწიოს ქვეყანას, შესძინოს კა-
ცობრობის ცივილიზაციის საუნჯეს
ელემენტები, რომელნიც შეუმუშავე-
ბია მას თავის ნიადაგზე თავის ზნე-
ობითი ძალით.
მაშასადამე დიდი შეცდომილება
იქმნება, რომ ჩვენ არა-მანებელნი
ჩვენი ჩვეულებანი, ხასიათი, ზნე
დაეკარგოთ იმიტომ, რომ ევროპიუ-
გუროა და ზემათაროა; ძახეთში —
ემოწურულია ჩეკრულია და ძველ-
კობურთა და ბარე-ძახეთში — წინ-
წყაროა შარელია და გვიბძანეოა.
შენც, რომელიც გსურს, მიბძანე და
მე დაეძახებო, იტყოდა ხოლმე შიშია,
თუ ვინმე ლხინში მღერას დაავალბ-
და და რომელსაც კი ეტყოდენ, ისიც
რინიანის ხმით დასძახებდა ხოლმე.
სიმარდე და გაქცევა იმისი საარა-
კო იყო; რამდენიმე ათი წლის წინედ
გაქცეულ ცხენს ეწეოდა... აი, ეს
მოხუცი გაღმობტა თავის კავმა ცხე-
ნიდამ და თავის ქნევით მოგვიბრუნ-
და ჩვენ:
— შვი, აკი არ მომატყუეს ბერი-
კაცი! ამბობდით ზუღა-მაყარს ნადირა
ფშაველს თაფლზედ უნდა ვეწვიოთ
და თქვენ კი ბოქორის წმინდა ბი-
ორგში მიგყევართა?.. ამ დროს ამ
პატარა ფშავლის სოფელს გავცილ-
დით და ჩამოთლილი ფრილო და
სალა ბოქორის მთა ამაყად გვიმხერ-
და. მერწმუნეთ, ბიჭუნაებო, უკან
დავბრუნდებოდი, რომ ძნელი არ
იყოს ხატის გზიდან დაბრუნება. მერე
ელორი ქალმებს მაინც არ ჩავიკომ-
დი იქა რო გეთქოთ; ეხლა პირჯერის
დასაწერადაც ხომ ვერ შვეალ საყ-

ლი მეცნიერება შეეითვისეთ, და იმი-
სი ნაყოფით ვსარგებლობთ. შემოდგა
თუ არა ფეხი ევროპიულმა განათ-
ლებამ ჩვენში, თითქო დავითვერით;
ჩვენშია ის მოხდა, რაც სხვა ქვეყ-
ნაში, ესე იგი ჩვენს ხალხს ეგონა,
რომ განათლების ნიშანი ყოველ ძი-
რეულ ჩვეულებათა დავიწყება არისო.
შემოდგენით ჯერ ჯერობით დედა-
ენას, — გვეგონა თუ სხვა ენაზე დავიწყ-
ეთ ლაპარაკი ამითი დავამტკიცებთ
ჩვენს განათლებასა; შემოდგენით
ჩვენს მშვენიერს ნაციონალურს ტა-
ნისამოსს, — უფრაკობას უჯიმობის ნიშ-
ნად ვხადდით; შემოდგენით ჩვენს
კვლევებს ლეკურსა და დავლურს და
კარბილ-ვალსს შევაჩვიეთ ფეხი; შე-
მოდგენით ჩვენს ხალხურს სიმღე-
რებს, — გვეგონა, თურმანსებნი თქმა-
ში მდგომარეობს განათლებათა. რასა-
კვირველია, ამ გვარმა მიმართულებამ
ხალხი დავაშორა და არც გავაგვირო-
პიულა; დავმანინჯდით — დავმანინჯ-
დით იმიტომ, რომ ახალი ევროპიუ-
ლი განათლება ვერ გავიმჯობებდით
ჩვენს სხეულში, ვერ შევინათესავეთ იგი
ისე, როგორც ვერ გავსაგებებდით
ღვთისება მითხვად; გვინდოდა
გადმოგვეწერა ისე, როგორც დაბა-
დებულა და გავრცელებულა სხვა
ქვეყნებში ჩვენთვის უცხო პირობების
ძალით. ჩვენ არ ვეცადეთ, რომ ის
შესთვისებოდა ჩვენს ჰაერს, ჩვენის
ქვეყნის განსაკუთრებულ პირობებს —
ერთის სიტყვით გვინდოდა გადმოგვე-
წერა განათლება იმ სახით, რა სახი-
თაც აღმოცენდა იგი სხვა ქვეყნებში.
შეიძლება, ეს ჩვენი უნებლიეი შეც-
დომა იყოს, მაგრამ რომ ეს შეცდო-
მა არის, ამას ბევრი დავა არ ეჭირე-
ბა.

ამ მოვლენამ ბევრი ზიანი მოგვცა,
დარში — გვესაყვედურებოდა შიშია;
ჩვენკი ხან ვამხნევედით, ხან და-
ვიცინოდით. მართი ტიკპორის მასრას
მანც დავეძგინეთ, შევხურდეთო,
თქვა ბოლოს დაღინჯებულმა შიშიამ
და რა ტიკპორის მოწაფებით ლაზა-
თიანად შევხურდით, გავედევნეთ
შიშიასმიერ ლაზათიანად გაწერთილ
კვებსა.

პი, დავწალოკდით ცაში გველიეთ
აწოლილ აყუდებულ ბოკორმის
მთის ბილიკზედ. მთას ძირიდანვე
შესდევს გასაოცარის ხელოვნებით ნა-
შენი გალაფანი, ყველა ოც ნაბიჯზედ
მავარი კოშკებით შეჭრელებული.
პქა-ქ თოვლიდამ ტუჩები ამოეყოთ
რამდენსამე ქართულ ხელოვნების ზარ-
ბაზანს, ტყვიები ყოველს ნაბიჯზე გა-
ფანტულნი იყენენ; გალაფანი ზეცაში
ასულ ქუდურს გარს ერკალება კოშკე-
ბით და სხვა-და-სხვა შენობებით.
შეგ შეკავალში მოვაკებულს წვერო-
ზედ მშვენიერი დიდ-შენი გუმბათიანი
ეკლესია სდგას. აღმოსავლეთის მხა-
რე ამ მთისა უმწერის მარტყოფის
მთებს და წარმოადგენს საშინელს
ღრანტეს, რომლის ფერხითი ყინუ-
ლით შებოკილი ცელქი იორი ძლივს-
ლა ხრინავდა. ამ საშინელ სიმაღლე-
ზედ მშვევე ნიაფი მოწუწუნებდა, ჩვენ

ბევრად დავეწია უკან. მან დაგვიმა-
ხინჯდა, დაგვიფუჭდა, დაგვიფუჭდა;
დავიწყებულ იქმნა ის მდიდარი საუნ-
ჯე, ჩვენი ძველი მწერლობა, რომე-
ლიც აშკარა დამამტკიცებელია ჩვენის
წარსულის გონებრივის ძალისა, დავშო-
რდით ხალხს, ვითაკილეთ მისი გონებ-
რივი სიმდიდრე, მისა მდიდარი სიტ-
ყვიერება, რომლის შესწავლა, გაც-
ნობა ახლებს, აღვიძებს და ძალ-
ღონეს ჰმატებს ერს; ვავიხადეთ ჩვენი
მშვენიერი დარბაისლური ტანისამოსი,
რომლის ერთი შეხედვა სიმამაცის
გრძობას მოჰგვრის კაცს; ავყაყინდით
კინეშმის მრავალკამერის ხმაზე — და
ჩვენი მშვენიერი, ხალხური მამაცური
სიმღერები დავივიწყეთ.

მზლანდელი საქართველოს სოფლის
ემაწვილ-კაცობა სწორედ იმ ახირე-
ბულს შეზავებს წარმოადგენს, რომ-
მელზედაც იტყვიან ხალხმე **СМѢСЬ
французскаго съ нижегородскимъ**;
არც რიგიანი დარბაისლური ქართუ-
ლი სიტყვა-პასუხი, არც გალობა, არც
ძველებური, რიგიანი სიმღერა, არც
ცხენოსნობა, არც მოღვეურობა და
ამასთანავე არც ტანთ-ჩაცმა. იმას ნუ
იტყვი, რომ ტანისამოსსაც მნიშვნე-
ლობა არა ჰქონდეს; შეიძლება, პირ-
ველის შეხედულობით ზოგიერთს ეს
წერილმანი საგანი ეგონოს, მაგრამ
თუ ჩავუფიქრებთ, აშკარად დავინა-
ხავთ, რომ ზოგიერთ წერილმანს და
გარეგანს საგნებსაც დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს მთელს ხალხის ცხოვრების
მსვლელობაში. ამ გვარ საგნების
უყურადღებობა აუფერულებს ერს, აუ-
ფერულებს მის ცხოვრებას.

ახლა მოაწია დრომ, როცა ლეთის
შაღლით, ვიგოძენით საქიროება ჩვე-
ნის განახლებისა; განახლება შეიძლე-
ბა მხოლოდ იმით, რომ ხელახლავე

სანთლები დავანთეთ ამ უძველეს
საყდარში, რომლის ნანგრევებში ქა-
რი საშინლად ყმობდა. შიშია მოხუ-
ცი გარედან ევედრებოდა წმინდა
ალაგს, რადგანაც ღირის ქალმების
გამო შიგ ვერ შემოდიალა.

პი, ზედ ფრილოზედ დავანთეთ
ევებერ თელა ცეცხლი, დაეუდეთ მწვა-
ლები დამოგვევით საღვებრძლოებს...
შჯარმიდან დაწყებული ძახეთის გა-
დასავალ „მერანამდე“ თეთრად მო-
ჩანდა ტყითა და თოვლით მოცული
არე-მარე; ზომბორის მინდრები და
გამარტობულად მდგარი დახვრეტი-
ლი ცახე-გალაფანიანი მაღალი მთა
ძახეთის გადასავალში იზიდავდა ჩვენს
ყურადღებას. შიშიამ შეგვატყუა ეს და
დაიწყა:

— ამ არე-მარეზედ, რომელიც ამ
სიმაღლიდამ მოჩანს, უცხოვრია საქარ-
თველოს მეფის ზორგასლანს. აიმ დახ-
ვრეტილ მთას რომ ვხედავთ, ის ყოფი-
ლა იმის სასახლე, ნანგრევები აგერ
ეხლაც მოჩანს. შევმოძ რუსის ეაზარ-
მებთან რომ ნანგრევებია ის კი-
დევე მეფის სანაღარო ყოფილა.
შჯარმაც ხომ ჩანს, ის კიდევე ქალა-
ქი ყოფილა. ეს სიმაღლე, რაზედაც
ჩვენა ვართ, მავარი ციხე ყოფილა...
მართლაცა და, აბა ვახიხედეთ, რომელ

დაეუხლოვდეთ, ხელმეორედ შევი-
თვისოთ საუკეთესო ჩვენი ჩვეულებე-
ნი, შევისწავლოთ ხალხი, არ დავი-
ვიწყოთ არც მისი სიმღერები, არც მისი
ზებირ-გადმოცემანი, არც მისი საუკეთე-
სო ჩვეულებანი, არც მისი ტანისა-
მოსი, და არც ის განცხრომის სა-
შუალებანი, რომელნიც ასე სასია-
მოვნოა არა თუ მარტო ჩვენთვის,
არამედ ევროპელებისათვისაც. ისი-
ნი არა თუ ევროპიული განათლე-
ბის საწინააღმდეგონი არიან, არამედ
სასარგებლონიც. როგორც ზემოდ მო-
ვიხსენიეთ, ამ ჩვენს განსაკუთრებულ
ნაციონალურ ჩვეულებით, განსხვავე-
ბით, თვით განათლებაც ისარგებლებს,
მოსძებნის, მოიპოვებს ისეთ ელემენ-
ტებს თავისთვის, რომელნიც ცოტად
თუ ზევრად შეემატება მის საზოგადო-
საუნჯეს. ბანა ევროპიული მეცნიე-
რება ცოტას შეიძენს ჩვენის ცხოვრე-
ბის შესწავლით, ჩვენის მწერლობის
გაცნობით, ჩვენის ისტორიის შეთვი-
სებით? ბანა ევროპიული მუსიკა არ
ისარგებლებს ჩვენის ხალხურ სიმღე-
რების მოტივებით? ბანა ჩვენი ქულა-
ჯა, ყურთმაჯებიანი კაბა დავვიშლის
ევროპიულის ფილოსოფიის შესწავ-
ლას? ბანა ჩვენი განთქმული ცხენოს-
ნობა, იარაღის ხმარება ცივილიზა-
ციის საწინააღმდეგოა? — ხალხის თვით
ცნობიერების გაღვივებაში ყველაფერ-
სა აქვს მნიშვნელობა, ისეთ წერილ-
მან საგნებსაც, როგორც არის მავა-
ლითად ტანისამოსი. აბა, ვინ არის
ჩვენთაგანი, რომელსაც გული სიხარუ-
ლით არ აუძგერდეს, როცა ჰხედვს
მშვენიერად ძველებურად ჩაცმულს
ქართველს, დარღმინდულად სახლებ-
აკეცილს, გულ-გადაშლილს, თაიღამ
ფხვებამდე იარაღში ჩამჯდარს? — აბა
ვინ არის, რომ ალტაცებაში არ მო-

სიმაღლეზე გინდათ, რომ ციხისა და
ან საყდრის ნანგრევი არ იყოს
მომდგარი? აბი, ამ ადგილიდამ განა-
გებდა ჩვენი მეფე მართლ-ძახეთისა.
ძალუმი მეფეც ყოფილა და ისეთი
ღვთის-ნიერი, რომ ციღამ ზარის რე-
კა*) ესმოდა. ამაზე ჩვენ ეხლაცა
ემღერით ხალხმე: „მანტანგ მეფე
ღმერთს უყვარდა, ციღამ ესმოდა რე-
კაო“. საყდრები ბევრი უშენებია,
„ქალაქიც“ იმას გაუეტებია; მაგრამ
ცოლი ჰყოლია ცული ზნისა, თი-
თონაც თავისივე სიტყვა გაუტენია და
იმიტომ ბოლო ვარგა ვერ მოსვლია.
ჯერ თოთხმეტი წლისა ყოფილიყო,
როცა მეფედ დამჯდარიყო. დიდი ხანი
არ გამოსულიყო, რომ ერთი ხელმწიფე
შეპბრძოლებოდა; მოდი ხალხს ნუ
დაეხოცოთ და მეფეებმა გამოვინჯოთ
ერთმანეთით, — ეთქვა სხვათა ხემწიფეს.
სირცხელი იყო ვაჟკაცს უკან დაე-
ხნა, როცა საფალაწოდ ითხოვდენ
და საქართველოს მეფეც გასულიყო;
მხლებლებს ეთქოთ მეფისთვის: ეგ
გმირია, გამოცდილი და სახელ-ვათქ-
მული ფალაფანიო, ვაჯობებს, თუ

ვიდეს, როცა ვავიხსენებ მშვენიერს
მამაცურს ძველებურს ქართულს საუფ-
რულსა და მაყრულს? მის არ დაუტკ-
ბება გრძობა, როცა ესპის ხოლომე
დაწყობილი სარწმუნოებრივის გრძო-
ბის ამშლელი ეკლესიური გალობა?

დაეუბრუნდეთ ჩვენს სიმღერებს,
ჩვენს ტანისამოსს, ჩვენს კარგს ჩვეუ-
ლებათ, ჩვენს ვარჯიშობას, ჩვენე-
ბურს დროს გატარებას! ნუ დავივიწყ-
ებთ ჩვენს ხასიათს და ვეცადეთ იმათ
შევათანხმოთ, დავუხათესავოთ ევრო-
პიული განათლება. ამ გვარი ჩვენი
მოქმედება, მეცადინეობა გააძლიერებს
ჩვენს წინ-მსვლელობას, ზნეობით აღგ-
ვამალლებს, ეს იქნება ჩვენი განახ-
ლება.

— — — — —

**მსხვერპლი ინგლისელების გულ-
ბრილობისა.**

შორს არის ჩვენზედ სულანი, შორს
არის ინგლისიც, მაგრამ ამ ორის
ქვეყნის ერთმანეთთან შეტაკებას ბევრ-
ნი სულ-განაბლური ყურს უგდებენ
და ყოველს იქიღამ მოსულს ამბავს
გაუვაცივებით ჰკითხულობენ. ეს ბრძო-
ლა იმითია შესანიშნავი, რომ განათ-
ლების ყოველ-გვარი იარაღით შეჭურ-
ვილ ინგლისელებს ებრძვიან ტან-შიშ-
ველნი და მარტო ფარ შეუბით შეი-
არაღებული არაბები. რა აბრძოლებს
ამ ნახევრად-ველურ ხალხს ინგლისე-
ლებთან: სარწმუნოებრივი თანატოლში,
თავიანთ მხურვალე მამულის მხურვა-
ლე სიყვარული, თუ ზილი შემოსეულ
უცხოელთადმი? ჩვენ გვეგონა, ერთიც
მეორეც და მესამეც და ეს სამი საგა-
ნი ერთად ისე ასულ-დგმულებს ამ
ხალხს, რომ მამულის სიყვარულით

მოტყუებით არ დაიმორჩილებო. შე-
ფეს ჯერ არ ექნა, მაგრამ ბოლოს
გავტეხა თავისი სიტყვა და როცა საბრ-
ძოლველად შეიღწა გამოსულიყვენენ,
დაეძახა სხვის მეფისთვის: ეგ რა ვაჟ-
კაცობაა, რომ მაგდენი მშველელი
უკან მოგდევსო? — ბეზავსაც უკან მიე-
ხედნა და ამ დროს ზორგასლანს შეილ-
ღისარი შიგ მობრუნებულ კისერში-კი
ეკრა.

მართლ ზორგასლანი ქართველი
ჯარებით ინდოეთს წაბძანებულყო
სადავლოდ და ცოლი კი ამ განხრე-
ტილ გორის სასახლეში დაერჩინა. ამ
ძირ ვაკეში, საცა ეხლა რუსები დგა-
ნან, ცხოვრობდა თურმე ჯავახეთ-
გუთნიდელა. იგი თურმე მაღლიანი
ვაჟკაცი იყო და ხენა-თესვით ცხოვ-
რობდა, მოსავალიც ზღვა მოსდიოდა.
მეფის ცოლი ხენის დროს ზევიდამ
დასცქეროდა ხალხმე. ძი ნამუსის
ქალი არ ყოფილიყო და ეს პატიო-
სანი გუთნი-დელა შეეცდინა. რადგან
ისე დროს ვერ შეხედებოდენ ერთმა-
ნეთს, იმიტომ გუთნი-დელას ლამ-ლამე
კლდე ეთხარნა, რომ გორის წვერამ-
დის ამძვრალიყო. ის ნახვრეტები
რო მოჩანს, ისინი არიან. რა ღამესაც
ახვრეტა და ავიდა დედოფალთან,
მეფეც ინდოეთიდან მაშინ მოვიდა

*) ჩვენი ხალხის რწმუნებით ცაში ყოველ
ცისმარედლე სამეფო ირეკება ზარი: ცისკ-
რისა, წირვისა და მწუხრისა. ვინც წმინდაა,
იმას ესპის ხალხმე ეს რეკაო.



ძალ - მიცემულთ თავიანთი მარჯვენა საუკეთესო იარაღად მიანათ.

თმა ყალბზე უდგება კაცს, როდესაც სურათებზედ ჰხედავს, თუ როგორის თავგანწირულებით იერიშით მიღიან შიშველ-ტანზედ ფარ-აფარებულ სუდანელები ინგლისლების თაფების წინააღმდეგ, რომელნიც ერთ წამში მტრისკენ რამდენსამე ტყვიას ისტუმრებენ; გაცეხებს მოღიხარ, როდესაც გეუბნებიან, რომ რათხა უფროდ შეკრული ინგლისელების ჯარი, რომელსაც წინ სამი გაწყობილი რაზმი უდგას, სუდანელებმა რამდენჯერმე გასტყვეს და შუაში შეუტყვიდნენ. მაგრამ ყველაზედ საოცარი ის მოხერხებაა, რომელიც მათ ამ ბოლოს დროს გამოიჩინეს.

ვიდრე ინგლისელები ხართუმზედ შორს იყვნენ, არაბებიც თითქო მიუყურდნ და ამ ქვეყნიდამ ჩამიჩუმი არ ისმოდა; მაგრამ რაკი ინგლისელები, ღიღის მხადების შემდეგ, მიუახლოვდნ ხართუმს, ამ დედა-ქალაქს სუდანისას, სადაც ბედკრული ბორღონი შემწყვედელი იყო, სუდანელებმა მეტის-მეტი გამბედაობა გამოიჩინეს, რამდენჯერმე თავს დაესხნენ ინგლისელ რაზმებს; ბოლოს ხართუმიც აიღეს და შიგ ჩაჰკლეს ერთი წლის განმავლობაში ამ ქალაქის მფარველი გამოჩენილი ბორღონ-ფაშა.

ამ უკანასკნელს ტყუილად არ ვუწოდებ მხვერვალი ინგლისელების გულ-გრილობისა. თუმცა საზოგადოების აზრი გაცხარებითა თხოულობდა, რომ ამ შესანიშნავს კაცს მალე მიჰმეველებოდნ და გამოეხსნათ ტყვეობიდან, მაგრამ ინგლისის მთავრობა დიდხანს უჭრს არ იბერტყდა, რადგან იმედი ჰქონდა ამ კაცის უსაზღვრო გაღვივებისა სუდანელებზედ და

და სასახლეში მოასწრო გუთნი-დედას:

„დღისათა კხნამდა გუთნისა, ღამით განგრეკდი სულს კლდესა, შუადამეს შეგეჭრე, ტანდაბალ და ზინად მხესა, ნამუსზე სეჯი ავიდე, დიქრთიც უშეკლას ჩემ მკვლელსა...“

თქო ლექსად გუთნი-დედას მეფისთვის; მაგრამ მეფეს არ მოეკლა ის, მხოლოდ ჯავახეთისკენ გაეძევებინა მართლ-მართლის მოსავალიც თურმე თან გაჰყვა იმ გუთნი-დედას და დიდხანს აღარაფერი მოდიოდა ჩვენში, ჯავახეთი-კი მოსავლის ზღვად გადაიქცა. მერე გაგზავნეს ჯავახეთს გუთნის-დედასთან კაცი, რომ უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ თითონ აღარ წამოსულიყო და რამდენიმე ფეშვი-კი ჭირახულისა გამოეტანებინა. ბადაბნიეს თუ არა ეს თესლი, იმ წლიდან მართლ-მართლში ისევ მოსავალი დაბრუნდა, მაგრამ ჯავახეთი მაინც დღესაც სჯობნის ორივე მხარეს...

მეფე გულ-კეთილი ბძანდებოდა და ორც-არა ცოლს დაუშვარა; მაგრამ ცოლმა-კი არ დაინდო ის. დიდძალი ურჯულო დაეცა ჩვენს ქვეყანას. სანგორის მინდორი სუ დაბნე-

აღბად იმ ოქროსიც, რომელიც მას პირველში ინგლისის მთავრობამ ჯიბის ფულად გაატანა. მაგრამ ინგლისის მთავრობას დაავიწყდა და ბორღონსაც აღარ გაახსენდა, რომ

„ამა სოფლისა დიდება გეტყვლით არ მოაზრებთ“

და თუ არაბების შუბებით გამიჩრული ბორღონი ველარ ჰგონობს თავის შეცდომილების ნაყოფს, ინგლისის მთავრობა ხომ მალე იგონობს, ან აქამდის ნაგონობიც ექნება ის საზოგადო მღელვარება, რომელსაც ამ სამაგალითო კაცის სიკვდილი მთელს ინგლისში გამოიწვევდა.

„ინაური ჰრონიკა“

== მალაქელ დალალებს, აი, კიდევ რა ახალი საშუალება მოუგონიათ ბეჩაეი ხალხის მოსატყუილებლად: ჩიცივამ დალალი გლეხის დაძინძილ ტანისამოსს, სოფლურად ენას მოუქცევს, დაიჭერს ხელში ორიოდ წყვილს კარგად დაძველებულს ხობობს, ან ძალზედ დუმა-ნარეფს ერბოს, ან სხვა რამ ხორავს და დაიარება კარ-და-კარ, ეითომ-და სოფლიდამ ჩამოტანილი ნაწარმოების იაფად გასაღებისათვის. ბამოუტდენი და ნამდვილი ფასის უცოდინარნი ბევრნი ტყუედებიან და ან მამა-სისხლად ჰყრდნობენ ამ ეითომ-სოფლელთაგან, ან თუ იაფად გამოიტანენ რასმეს, - იმისთანას გამოიტანენ, რომელიც პირში არ ჩაიშვება.

== დიდ-მარხვის პირველს ორშაბათს, რომელიც კათოლიკეთათვის ყველიერად ითვლება, აქაური ჭრან-

ღეს და მოადგნენ შუარმას. ბორღონს-კი მაგრა დაუხვდა იმათ: დღისით მუსრს ადენდა და ღამე ამ გორავზედ ციხე დაბაზში ბრუნდებოდა. დედოფალმა პირობა შეკრა ურჯულთ მეფესთან: ოლონდ შემირთე ცოლადა და ჩემ ქმარს მოგაკლევინებო. ღამე იმის რაშს ბევრ მარილს ვაქმევო და დღით იორში რომ შემოვა, წყალს ძან დაუწყებს სმასა, მეფე ლაგამს ზევით მოზიდავს, გაღმიდან ჩასაფრებულებმა ილიაში სტყორცნეთ ისარი და მოკვდებო. ეს შეთქმულება დედოფალმა შეასრულა და მეორე დღეს ისრით ილიაში დაჭრილი მეფე მოასვენეს ციხე-დაბაზში. შიმისოდ ვერ მოჰკლავდნ, რადგან თავით ფეხთამდის აბჯარში იჯდა. ორი დღის უკან მოკვდა ეს გათქმული მეფე ქვეყნის სატირლად. დედოფალიც-კი ზედ მიაყოლა ურჯულთ მეფემ: „ისეთი გმირი და სახელოვანი ქმარი არ შეიფერე და მე შემეფერებო! შთახრა იმან და მოაბმეინა რა ბორგოსლანის რაშის კულზევე, სუ ლუქმა-ლუქმა აქცეინა... ასე დაათავა შიმია ხალხური თქმულობა ბორღონის მღელვარება და გზაზედ ბატონიშვილ ალექსანდრეს ცხოვრებიდამ

ცუზების საქველ-მოქმედო საზოგადოების კომიტეტი მართავს დიდს ბაღს კრუჟოკის ზალაში კოსტიუმებით. თითქმის ყოველ წელს იმართება ამ გვარი ბალი და ყოველთვის საზოგადოება შეტად კმაყოფილი რჩება.

== „ძავეასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა“ საზოგადოებამ კაი ხანია, რაც საგათას ძილით მიიძინა. მხლა, როგორც ამბობს „საკვლეპიო-საზოგადოებრივი მოამბე“ საზოგადოების წესდება შეუცვლიათ და ამ შეცვლილის წესდებით გადასხეფერებული საზოგადოება სამოქალაქო უწყებებიდან სასულიეროში გადადის. პირდაპირი მართვა ამ შეცვლილის საზოგადოებისა ჩაბარდება საქართველოს ეგზარხოსს.

== სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში, როგორც გვატობებენ, ამ ქამად იხილავენ პროექტს სახელმწიფო ქონებათა მართვისას თბილისის, ქუთაისის, სტავროპოლის, ბაქოს, მრეწვის და ბანჯის გუბერნიებში და აგრეთვე ქუბანისა და თერგის ოლქებში. ამ ქონებათა მართვის ყოველ-მხრიულ მოსაწყობად ბ. ტიხეგუს, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დანდობილ პირს ძავეასიაში, წარუდგენია პროექტი, რომელიც მოუწონია ძავეასიის მთავარ-მმართველს. სამინისტროსაგან განხილვის შემდეგ ეს პროექტი სახელმწიფო რჩევას წარედგინება კანონ-მდებლობის წესით დასამტკიცებლად.

== ჩვენ შევიტყუეთ, რომ წასულ წლებში ამიერ-ძავეასიის ყველა გუბერნიებში გასაღებულ ღერბის მარკების მესამედი მარტო ქუთაისის გუბერნიაში გაყიდულა.

ერთი ხანა თავისივე ნახული გვიამბო.

„ჭერ დილა იყო. საქონელს ვაძობდით ნიხურას ფოსტის ახლო (მდ. იერის პირზედ, სიღნაღის ტრაქტზედ, აწ პაჭრეთის ფოსტად უწოდებენ) იქ შევიტყუეთ მწყემსებმა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ლეკის ჯარით მოდისო. შუადღემ მოატანა, რომ რუსის ჯარიც ცხენოსანი და ქვეით ქალაქის მხრიდან მოაწყდა ბადიაურის მინდორს. შუადღისას შეხებოდნ ერთმანეთს. ჩვენ გვესმოდა ზარბაზნების გრიალი და ხან ვაბმული ხუილი. დამარცხებული ბატონიშვილი მანავის ციხეში ასულიყო იმ ღამეს. მეორე დღეს დილა აღიარა ციხე-ციხე წასული მცხეთას მისულიყო; როგორც ჩვენ სოფელ საგარეჯოდან, ისე სხვა სოფლებიდან ბევრი ხალხი ახლდა თან. იქ მცხეთაში ეტირნა და ევალანა ბატონიშვილს, მერე ხალხი დაეთხოვა: წადით, შეილო, ვისაც ცოლშიელი გყავთო და ვისაც-კი ჩემი თავი არ გეთმობათ, თან გამამყუთ და ღმერთმა იქნება შემადლებინოს თქვენი სიკეთის გადახდაო“. ბევრნი დარჩენილიყვნენ იქ: საგარეჯოდან მუმელა-შვილი და პურდღელაშვილი დარჩენილიყო, პატარძელიდან იოსებ სი-

== თბილისის ეგზარქალის სამღვდელთა კრების ჩიხეული და ფრიად გონიერი გადაწყვეტილების თანახმად საქართველოს ეგზარხოსს განკარგულება მოუხდენია, რომ მართლ-მართლის არქის ყველა ეკლესიებს დაურიდეს, მათის ხარჯით, ქართველებისაგან ესდენ შეყვარებულის იმერეთის მღვდელ-მთავრის მამრიელის ქადაგებათა ორივე ტომი, ეკლესიებში მღვდელთაგან საკითხავდ წირვა-ლოცვის შემდეგ.

== ლეშეთიდან ვაზეთს „ძავეასს“ სწერენ, რომ აქაურს მოამრიგებელს სასამართლოში მოვიდა ამავეი ჩვენს მარაში მეორე სასამართლოს დარსებისაო, რომელსაც, დიდი ხანია, რაც ეს ვრცელი და კარგად დასახლებული მარა საჭიროებდაო.

== „იურიდიისკოე ობოზ.“ მე-201 ნომერში დაბეჭდილია ერთი იმ გვარ კორესპონდენტისათვის რომელთა აფტორებს ვალამზედ კი არა, რუსის პოეტის პუშკინის თქმისა არ იყოს, სხვა რამზეც ცნობულობენ ხოლმე... ქუთაისის მიხეილოვის ბანკიო, ამბობს ეს ვაჭბატონი, სარგებლობს ღმერთ-მან იცის ვისგან მინიჭებულის ხელმწიფებით და აიძულებს ხოლმე ბანკში დარჩენილი მამულების მსყიდველთ, რომ უთუოდ ნოტარიუსს ა—ს მიჰმართონ ნასყიდობის შესასრულებლად, თუნდ მყიდველებს სხვა *) ნოტარიუსთან უნდოდესთ მიმართვა და მასთან უფრო სასარგებლოდ სთვლიდეს თავისთვის ნასყიდობის შესრულებას.

*) რაღა სხვა, დალოცვილო, ბარემ დაასახელოთ ისიც, ა—საგით ინიციალით მაინც. ტყუილად კორიანტელს რად აყენებთ, როცა ყველამ იცის, რომ ქუთაისში მხოლოდ ორი უმცროსი ნოტარიუსი? რედ.

ბოშეილი და მჭედლიშვილი, აგრეთვე სხვა სოფლებიდანაც. ამათთან ერთად თათრებისკენ წაბძანებულიყო ალექსანდრე.

ბავიდა რამდენიმე წელი და საგარეჯოდამ ურმით ბეგარას და ცხენებით ჯარში წასვლას იძახდნ. მეც ურმით გამაგდეს. თორმეტი ზარბაზნის წაღება შეგებდა გარეჯოლებს მრევნამდის. მისაც-კი ცხენი ჰყავდა, ყველა იქ იყო „ახოტნიკად“. მრევანში შემწყვედულ თათრებს რუსებმა ზარბაზნები მიუშარეთს. მაშინ მრეწვის ციხიდან ყველამ დაეინახეთ, რომ მუმელაშვილი გადმოდგა და იქიდან დაგვიყვარა: „რას შერეებით, ქართველებო! მაშინ ვაფიგეთ, რომ?!... ბატონი-შვილი იქ ბძანებულიყო...“

—მრევანიც აიღეს რუსებმა, მაგრამ ალექსანდრე ვაგარათ. მერე ბანჯაზედ გამოაგრეკეს, ეს ქალაქიც აიღეს და თათრების ყენი ამტარხანი ტყვედ დაიჭირეს. ბევრი ტყვეები და ამტარხანიც ქალაქში შემოიყვანეს. მართველებს ლექსიც გეტქანდა ამაზედ და ის ლექსი ასე თავდებოდა:

„ავლახის დიდა გომეტი სულ საჩვასით გაჰმსესო.“
შეჭრო.
ს. საგარეჯო.

ამისთანა იძულებასე ბანკისაგან შე-
მოგვიწოდო, ამბობს იგივე ბატონი,
ვაქარმა დ. და ებრაელმა მ—მა.

შველა გონიერი მკითხველი მიხედე-
ბა, თუ რა სუნთხვა სდის მოხსენებულს
კორესპონდენტს, მით უფრო, რომ
არც ერთს ბანკს არა აქვს არავითარი
რეალური ძალა ამ გეგმი იძულებისათვის.
როგორც ყოველ კაცს, ისე დაწესე-
ბულებასაც შეუძლიან, რომ მიასწავ-
ლოს მისგან მსყიდველი, თუ კი ის
დაეკითხება, უფრო სინილისიერი ნო-
ტარიუსი. მუთათისის ბანკიც ასე იქ-
ცევა, და ვერ გაგვიგია, რითი ხელ-
მძღვენელობს „იურიდ. ობოზ.“ კო-
რესპონდენტი, როდესაც თითქმის მო-
მაცდევ ცოდვად უთვლის ამ ბანკს
საკუთარის რწმენის გამოთქმას რომე-
ლიმე ნოტარიუსისადმი? მოხსენებულის
გაზეთის ბატ. კორესპონდენტმა წარ-
მოადგინოს თუნდ ერთიც იმისთანა
ქაქტი, რომ მუთათისის ბანკის გამგეო-
ბას არ მიეღოს ა—ს გარდა სხვა ნო-
ტარიუსისაგან შესრულებული ნასყი-
დობა, და მაშინ, მსოფლიო მაშინ, ჩვენ
პირველი გაგვიცხვით ბანკის გამგეობას
და სინილისიერ განზრახვით კალმის მხმა-
რებელს დაუძახებთ ბ. კორესპონ-
დენტს...

„დროების“ კორესპონდენტი

მზურგეთი. იანვრის 25-ს. აწამ.
წყვილა თვალის მიხედულობამაო.
რომ იტყვიან სწორედ ასე მოუვიდა
მზურგეთის ახალგაზღვრებს. მან
1877 წელს დააარსა მზურგეთში
„გამსესხელ-შემნახველი ამხანაგობა“,
რომელმაც მეორე წელიწადსავე დაიწ-
ყო მოქმედება. თავ-და-პირველად,
ქართველურის ხასიათისამებრ, ყვე-
ლამ ხალისიანად მოჰქიდა ხელი ამ
საქმეს; ასე გასინჯეთ მოხელეებმაც-კი
დიდი მანაწილეობა მიიღეს „ამხანა-
გობის“ დაარსებაში. მაზრის უფრო-
სის თანაშემწე ბატ. პ. შავჭავჭავი ხამ
ყოველს ღონის-ძიებას ხმარობდა ჩაე-
გონებინა გლეხობისათვის „ამხანაგო-
ბის“ სარგებლობა, რის გამოც წვე-
რობის მსურველნიც ბევრი გამოჩნ-
დნ და ფულიც საკმაოდ შეგროვდა.
დაიწყო „ამხანაგობამ“ მოქმედება
და პირველში საქმე კარგადაც მიდი-
ოდა. მაგრამ მოთავეთ ბოლომდის
ვერ მიადევნეს თავი თავიანთ დაწყე-
ბულს საქმეს და გული აუცრუვდათ,
რისათვისაც, იმის მაგიერ, რომ „ამ-
ხანაგობა“ წარმატებაში წასულიყო,
ღროს განმავლობით უფრო უკან-
უკან მიდიოდა და შორს არ არის ის
ღროც, როდესაც „ამხანაგობა“ მიხ-
რწმენულს სულს თავის ორგულოთ
ჩააბარებს.

ამაში დამნაშავე საზოგადოების
გულ-გრილობაა და უფრო მომეტე-
ბულად ნასწავლი ყმაწვილი კაცობა,
რომლის მოვალეობაც არის ერისა-
თვის ყოველს სასარგებლო საქმეს
წინ წაუძღვეს და არ მიიყენონ იქამ-

დის, რომ ორგულოთ ნიშნი მოუკონ.
ასრულა ახალგაზღვრებამ ეს თავის მო-
ვალეობა, თუ არა? საუბედუროდ
არა. იმის მაგიერ, რომ ყველას, ერ-
თმანეთისათვის ხელი მიეცათ და
ერთ-ს ღონით და ძალით შესდგო-
მოდენ „ამხანაგობის“ საქმის წარმა-
ტებას, იგინი პირადი ინტერესების
გამო დაშორდნ ერთმანეთს, ერთი
აღთას მიდიოდა, მეორე ბაღთას;
მხოლოდ ქალაქის თამაშობის ღროს
ნახვდით ერთად თავ-მოყრილს. და
განა მართო „გამსესხებელ-შემნახველს
ამხანაგობას“ უმუხთლა ახალგაზ-
ღვრებამ?

ასევე მუხთლობს მზურგეთის სა-
ქალგებო სასწავლებლის ფეხზე დაყე-
ნების საქმეს. ახალგაზღვრებამ რომ
გულ-მზურგელედ მოეკიდოს ამ საქ-
მეს, მე დარწმუნებული ვარ, რომ
მზურგეთის საზოგადოება არც ისე
ღარიბია, რომ ორასი თუმნის გამო-
ლება არ შეეძლოს მომავალი ღდე-
ბის აღსაზრდელად.

არც მოხელეები დახმარნენ ჩვენს
„ამხანაგობას“, თუმცა იგინი წესდე-
ბის ძალით მოვალენი არიან ყველა
„ამხანაგობას“ გამგეობას ყოველ-
ნაირი შემწეობა აღმოუჩინონ, განსა-
კუთრებით გაცემული ფულის მოგ-
როგებაში. შინაგან საქმეთა მინის-
ტრმა, რაკი შეიტყო, რომ მოხელენი
„ამხანაგობის“ შესახებ თავიანთ მო-
ვალეობას სინილისიერად არ ასრუ-
ლებენ, მან 1884 წელს მანში ცირ-
კულიარით ვალდებულნი გახდა გუ-
ბერნატორები, რომ მოსთხოვონ
ხოლმე მოხელეებს ანგარიში „ამ-
ხანაგობის“ საქმის მსვლელობის
შესახებ, ე. ი. გადაახდენინეს თუ არა
მოხელეებმა ვალი „ამხანაგობის“
მოვალეობას, ან თუ ვერ გადაახდევი-
ნეს-რა მიზეზისა გამო, რამდენი დარ-
ჩა გადაუხდელი ვალი და სხვ. მაგრამ
როდესაც რომელიმე მოხელე თავის
მოვალეობას ვერა გრძობს, იქ ვერც
ციკრულიარო და ვერც წესდება ვერ
გასჭრის.

აზურგეთელი.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! გგონია
თქვენცა და თქვენის „დროების“
მკითხველებსაც თავი მოგაბებრეთ ამ
ზომის სტანციის უფროსზედ წერით.
მრთხელაც კიდევ მიეცით ადგი-
ლი ამ ჩემს წერილს და ჩემის მხრით
პირობას გაძღვეთ ხმა აღარ ამოვი-
ლო ამ ვაქბატონზე. ამარა კიდევ;
თუ ვისიც ჯერ არს ამ შემთხვევას
მანც არის ყურადღებას მიაქცევს:
ერთს რკინის გზის მუშას რამიშვილს
თერთმეტი მანათი ემართა აზნაურის
მგალობლიშვილისა. ეს უკანასკნელი
ამ თვის 21-ს მოვიდა და საზოგა-
ხსენებულს მუშას თავის ფული,
მაგრამ მან არც ფული მისცა და პირ-
იქით თვითონვე უჩივლა თავის უფ-

როსთან. როდესაც უფროსმა მატარე-
ბელი № 2 გაისტუმრა, მან უთხრა აზ-
ნაურს წამო ჩემს კანტონაში, ფულის
იქ მოგცემო; იმანაც დაუჯერა და
წაჰყვა. შულის მიცემის მაგიერად
სტანციის უფროსი სწვდა აზნაურს
ქოჩორში და ისე უღმერთოდ დაუწ-
ყო ცემა, რომ ძლიეს გაგადებინეთ
ხელიდამ. აზნაურმა უჩივლა სტანციის
უფროსს და ბატ. რევიზორი ბაღდა-
ნოვი ამ ღდეებში იყო აქა ამ საქმის
გამოსაძიებლად. თუმცა ბატ. სტან-
ციის უფროსი ბელევიჩი-კი ტრაბა-
ხობს, რომ ბაგდანოვი ჩემი ნაამხა-
ნაგარი არის და ეიდრემდის მაგას ეგ
თანამდებობა უჭირავს, მე ვერაფერ
ვერაფერს მიხანსო, მაგრამ ჩვენ-კი
იმედი გვაქვს, რომ ბატ. ბაგდანოვი
არ მიხედვს არც მეგობრობას, არც
ნაცნობობას და საქმეს რიგიანად გა-
მოძიებს იმ მოწმების კითხვით, რო-
მელნიც საჩივრის არხაში უკვე მოხ-
სენებულნი არიან.

იგოკი.

ცელოვრამები

(„წმდილეკთის სააკენტოსი“)
იანვრის 31-ს

კამბარბუში. გუმინ სადამოს 9
საათზე ქალაქის საკრედიტო სა-
ზოგადოების შენობაში ცეცხლი
განდა. როგორც ეტყობოდა ცეცხ-
ლი ბანიდამ მოეკიდა, შემდეგ გა-
დვიდა დიდი დარბაზის ხორებზე
და ჭერი მალე ჩაიხვრა, შენობის
ზემო ნაწილი ინთქებოდა ცეცხ-
ლის ზღვაში, მაგრამ ცეცხლის
გამქრობელი კომანდის სიმინის
მეოხებით ღამის ორს საათზე ცეცხ-
ლი განეღდა. კასსას და საზოგა-
დოების საქმეთ წარმოებას არა
დაშავებია-რა ამ დროს იქ დაესწ-
რენ ხელმწიფე იმპერატორი და
დიდი მთავრები. იუსტიციის მი-
ნისტრის განჯარგულებისამებრ
ფიცხლავ შეუდგენ გამოძიებას. სა-
სამართლო პალატებისა და ოფ-
ქის სასამართლოთა პროკურორებ-
მს და განსაკუთრებითს საუერად-

დებო საქმეთა გამოძიებლებმა
სწდომა მოახდინეს ამ ცეცხლის
აღიით მოდებულს შენობაში. ამ-
ბობენ, ეჭვი აიდესო ვიოომც ცეცხ-
ლი ერთს მეგაზეს გაეჩინოს, რო-
მელიც დაჭერილი არისო. ცეცხ-
ლის გამქრობს კომანდაში მოსამ-
სახურეთაგან ერთი მოიკლა და
ორი დაიჭრა. შენობა დაზღვეე-
ლია ორას ათას მანათში. ცეცხ-
ლმა სადღეღვა მეზობლად მყოფის
ადექსანდრეს თეატრის საზოგა-
დოება. მაგრამ ერთი წილი სა-
ზოგადოებისა მანც დარჩა თეატრ-
ში და წარმოდგენა ბოლომდის
დაასრულეს.

ციმბირის მაგისტრალურის რკი-
ნის გზის გაყვანა დაიწყება წრე-
ელს, მანში.

ფინანსთა სამინისტროსთან მყო-
ფი კომისია მალე წარუდგენს უმაღ-
ლეს მთავრობას პროექტს ვიატ-
კო-დგინის რკინის გზის გაყვანი-
სას და მომავალ დროში მისს
გაგრძელებას პერმადის იმ აზ-
რით, რომ შეაერთონ არხანგელს-
კი და დასავლეთის ციმბირი.

კორტი. ხარუთმიდგან გამოქცე-
ულნი აზობენ, რომ ეს ქალაქი მუ-
ხანათობით მისცა მანდისაო შარახ-
ვაშამ. ბორდონმა შენიშნა ქუჩაზე
უჩვეულებრივო მოძრაობა ხალხისა, გა-
მოვარდა სასახლიდან ამის მიზეზის
შესატყობლად, მაგრამ კარების ღი-
რუზე მოკლულ იქნაო. ეს მოხდა
თებერვლის ოთსკი არა იანვრის 27-ს
(ახ. სტ.).

შანხაი. ინსტეკიანგის შესართავებ-
ში გაჩნდა საფრანგეთის ესკალრა.

ლონდონი. ბარლასწყვიტეს, რომ
სუაკიმში მოგროვილ ჯარების უფ-
როსობა ღენერალს ბრაამს ჩააბა-
რონ.

რომი. ღლეს მიდის მეწამულს ზღვა-
ში იტალიის მეორე ექსპედიცია. ამ-
ბობენ, რომ სამი ათასი ჯარის კაცი
იქნებაო, რადგანაც ინგლისი ჰფიქ-
რობს მარტომ გაავრძელოს მანდის-
თან ომი.

SOCIÉTÉ FRANÇAISE DE BIENFAISANCE
BAL
Paré et costumé
Donné le lundi, 4 fevrier dans la salle du Kroujok au profit des pauvres de Tiflis et de la Caisse de la société française de Bien-faisance.
Prix d'entrée
Dames: — — — 2 roubles
Cavaliers — — — 3 roubles
On trouve des billets à la caisse pu Kroujok et dans tous les ma-gasins français.

ქრანტუშუპის საქველმოქმედო საზოგადოება
ბალი
გოსტიეუმებით
ზამართული იქნება ორშაბათს, თე-
ბერვლის 4-ს კრუეკოს ზალაში ობი-
ლისის ღარიბებისა და ქრანტუშუპის
საქველმოქმედო საზოგადოების კასის
სასარგებლოდ.
შასი ბილეთებისა:
ძალებისათვის — — 2 მანათი
ძაველრებისათვის — 3 მანათი.
ბილეთების ყიდვა შეიძლება კრუ-
ეკოს კასში და ყველა ქრანტუშუპის
მალაზიებში. (5-5)